

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

5 მარტი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.
სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:

მოწვეული პირები:

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მარინა ღვინიაძე;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული მეორადი სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ნარგიზი ალფაძე;

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61, N62, N63, N64, N65, N66, N67, N68 N69 დადგენილებებით დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შესწორების მიზნით, ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს./ მარინა ღვინიაძე/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. /გიორგი ივანიაძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: /ნარგიზი ალფაიძე/

5. სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მარინა ღვინიაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61, N62, N63, N64, N65, N66, N67, N68 N69 დადგენილებებით დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შესწორების მიზნით, ცვლილებების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს სამართლებრივი დეპარტამენტის მიერ აღნიშნულ დადგენილებებში გამოვლინდა რამოდენიმე შეცდომები, რომელიც ჩვენს მიერ არის შესწორებული და გიდგენთ კორექტირებულ მასალებს.

გადაწყვეტის:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N61, N62, N63, N64, N65, N66, N67, N68 N69 დადგენილებებით დამტკიცებულ

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შესწორების მიზნით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N2/

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა „ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხში იყო შენიშვნები, სიტყვა გამგეობა შეიცვალა მერიით და ანალოგიურად სიტყვა გამგებელი შეიცვალა მერად, ასევე იყო სტრუქტურული ცვლილებებიც, რომელიც დანართის სახით თან ერთვის.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N44 დადგენილებაში.

დღის სწესრიგით წარმოდგენილი აკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/ დანართი N3/

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების რეგულირებასთან დაკავშირებით საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისთვის ვანის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე გამოიყოს ადგილები, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ყოველი არჩევნების დროს ცეცსკო დებულობს განკარგულებას, ამ განკარგულების დანართით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში ასევე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ვანის საოლქო საარჩევნო კომისიისთვის გადაცემა.

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 4/

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზა ალფაიძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კანონის 24-ე მუხლის, 54 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“.ბ“, „დ.ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გთხოვთ, საკრებულოს უახლოეს სხდომის დღის წესრიგში შეიტანოთ წარმოდგენილი საკითხი, რადგან ჩვენს მიერ გამოცემულ ბრძანებაზე საჭირო არის თქვენი თანხმობა.

გადაწყვიტეს:

თანხმობა მიეცეს ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 5/

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

მოხმინეს:

სხვადასხვაში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, თავის საქმიანობას ახორციელებს სამსახურეობრივი მოვალეობისაგან მოუწყვეტილად და უსასყიდლოდ.

საკრებულოს წევრის ხარჯების ზღვრული ოდენობა არ აღემატება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15 %-ს და შეადგენს თვეში 447 ლარს. მათ შორის

საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების რიგით სხდომების მუშაობაში მონაწილეობისათვის საკრებულოს წევრს აუნაზღაურდება - 250 ლარი.

ამომრჩევლებთან გამართული შეხვედრებისათვის - 100 ლარი.

საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულებისათვის - 97 ლარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

**საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე**